ჩრდილოვანი ეკონომიკის ფუნქციონირების ტენდენციები საქართველოში

რამაზ ოთინაშვილი –
სტუ-ს პროფესორი
ვახტანგ დათაშვილი –
სტუ-ს პროფესორი

ინსტიტუციონალური თეორიის მიხედვით, ადამიანის მოღვაწეობის (ქცევების) მარეგულირებელი წესები იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ ნორმებად.[1] როგორც ფორმალური ისე არაფორმალური წესები მოიცავს საერთო და განსაკუთრებულ შეზღუდვებს. საერთო ფორმალურ შეზღუდვებს განეკუთვნება ოფიციალური კანონები და მარეგულირებელი ნორმატიული აქტები. განსაკუთრებულ ფორმალურ შეზღუდვებს – კონტრაქტები, საქმიანი წერილები, რომლებიც მხარეებისათვის აწესებს გარკვეულ ვალდებულებებს. აღნიშნული ქცევის ნორმებით ოფიციალურად რეგულირდება საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამ დროს მიმდინარეობს ღია პროცესები, რომლებიც საზოგადოებაში ტოვებს კვალს და ქმნის შესაბამის გამჭვირვალე საინფორმაციო გარემოს. ითვლება რა ცივილიზებული საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ელემენტად მსგავსი ურთიერთობები მოსახლეობას აძლევს საშუალებას ობიექტურად შეაფასოს მიმდინარე მოვლენები, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი. აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. ნორმალური ინფორმაციული გარემო ხელს უწყობს მოსახლეობის პოზიტიურ ადაპტაციას.

საერთო არაფორმალური ნორმები წარმოდგენილია ეროვნული თვითმყოფადობიდან გამომდინარე სოციალური ნორმებით. არაფორმალური განსაკუთრებული შეზღუდვები კი საქმიანი შეთანხმებებითა და გარიგებებით. სწორედ აღნიშნული ნორმები არეგულირებს ჩრდილოვან ურთიერთობებს.

ჩრდილოვანი ურთიერთობები ესაა ფარული, საზოგადოებისათვის უცნობი, დახურული პროცესები, რომლის შესახებ ინფორმაცია (დოკუმენტები, სტატისტიკა) არ არსებობს. არაოფიციალური ურთიერთობების ქსელი უფრო მოქნილია და იწვევს მეტ ნდობას ვიდრე ოფიციალური. ჩრდილში იქმნება და არსებობს სპეციფიკური სამყარო, რომლის მთავარი ჯაჭვი ჩრდილოვანი ურთიერთობების სუბიექტებია. მათ იციან არაფორმალური წესები და მზად არიან დაიცვან ისინი. ესაა დაინტერესებულ პირთა ვიწრო ჯგუფი, რომლებიც მალავენ თავის „მოღვაწეობას“ საზოგადოების ფართო წრისგან. ბუნებრივია, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩრდილოვანი პროცესები სპეციფიკურ ნიშნებს ღებულობს, ვინაიდან ყველა სფერო განსხვავებულია როლებით და ხასიათით.

თუ ეკონომიკაში ჩრდილოვანი ურთიერთობების მიზანია დამატებითი ფულადი შემოსავლის მიღება, სოციალურ სფეროში – საჭირო კავშირებისა და ძალაუფლების მოპოვება. მაგალითად, ჩრდილოვანი მოლაპარაკებები საკადრო გადაადგილებებზე ან ჩრდილოვანი პოლიტიკური ლობიზმით სასურველი კანდიდატის გაყვანა ვაკანტურ „გავლენიან“ ან „მაღალშემოსავლიან“ სახელმწიფო თანამდებობაზე და ა.შ.

ძირითადი, რაც ამ მოვლენებისათვის საერთო და დამახასიათებელია კანონმდებლობის დარღვევა და სტატისტიკური აღრიცხვის დაუქვემდებარებლობაა. ასევე მრავალია მისი განმარტებებიც. ეკონომიკური სტატისტიკის მიდგომიდან – მოღვაწეობა აღრიცხვის გარეშე, იურიდიული მიდგომიდან – სამართლებრივი ველის გარეთ, ეთიკური მიდგომიდან – ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც არღვევს საზოგადოების მორალურ ნორმებს. ჩვენი განმარტებით: *ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის ნაწილია, რომელიც მოიცავს საქმიანობის აღურიცხავ და კანონსაწინააღმდეგო სახეების ერთობლიობას.*[2]

მისთვის დამახასიათებელია ფარული, საიდუმლო „მოღვაწეობა“, ხშირად კრიმინალური ხასიათით, რომელიც არ არის რეგისტრირებული და არ აღირიცხება ოფიციალური ორგანოების მიერ. ამიტომ ჩრდილოვანი ეკონომიკის კონტროლი და

[1] *Латов В.Ю.,* Неформальная экономика как глобально-историческое явление, Эк. и социальные проблемы России, И.Н.И.О.Н.1999, №4 ст.13-30.

[2] *ოთინაშვილი რ.,* ჩრდილოვანი ეკონომიკა. კორუფცია. თბილისი, 2001.

რაოდენობრივი მახასიათებლების განსაზღვრა სირთულეებთანაა დაკავშირებული.

ჩრდილოვანი ეკონომიკის არსებობისა და ქვეყნის ეკონომიკური ჩამორჩენის მიზეზები ერთმანეთს ემთხვევა. ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის უარყოფითი გამოვლინებაა, რომლის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგებია:

1. კლებულობს საგადასახადო შემოსავლები, იზრდება საბიუჯეტო დეფიციტი – ეკონომიკა გადადის „ჩრდილში“, რაც უფრო მეტი ნაწილია ჩრდილოვანი, მით უფრო ნაკლებია შემოსავალი. არ არის შემოსავალი, არ იქნება დანახარჯიც, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო და მართვის ადგილობრივი ორგანოები ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. მწვავდება სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი. აღნიშნულ პროცესზე დადებითად მოქმედებს სახელმწიფო ვალის მოცულობა (შიდა და გარე), რომელიც ჩვენთან სამწუხაროდ მნიშვნელოვანია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის კრიტერიუმებით, საქართველო საკმაოდ მაღალი ვალის მქონე ღარიბი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნება;

2. მცირდება მოსახლეობის ცხოვრების დონე და შემოსავალი. 1990 წელთან შედარებით ოფიციალური შემოსავლები შემცირდა 4-ჯერ. მოსახლეობის ნახევარის ოფიციალური შემოსავალი საარსებო მინიმუმის ქვემოთაა. საზოგადოების ეს ნაწილი ჩრდილოვანი ეკონომიკის „შრომითი რესურსის” აქტიური პოტენციური წყაროა;

3. ხდება ოფიციალური ეკონომიკის სტრუქტურული დეფორმაცია. უგულებელიყოფა ჯანსაღი კონკურენცია და ხელი ეშლება „ჯანმრთელი“, ნორმალურად მომუშავე ეკონომიკური სუბიექტების შექმნას. შედეგად, მახინჯდება კვლავწარმოების სტრუქტურა. არაეფექტური ხდება კანონიერი ბიზნესი. საბოლოო ჯამში ფერხდება ეკონომიკური რეფორმების განხორციელება და საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების გატარება;

4. მცირდება საფინანსო და ფულად-საკრედიტო სისტემის ფუნქციონირების ეფექტურობა. ერთი შეხედვით, ეროვნული ვალუტის კურსი სტაბილურია, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო ვალის (შიდა და გარე) სიდიდეს და მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მშპ-ან თანაფარდობას აღმოჩნდება რომ ლარის „სტაბილურობა“ ძირითადად მისი დეფიციტითაა გამოწვეული. ამასთან მაღალია დოლარიზაციის კოეფიციენტი, რაც ეროვნული ვალუტის მიმართ მოსახლეობის დაბალი ნდობის შედეგია;

5. ინვესტიციური კრიზისი. ინვესტიციების სიმცირის გამო ხელი ეშლება მსხვილი, ლეგალური კაპიტალის შექმნას. ეროვნული სახსრები გაედინება საზღვარგარეთ. ქვეყანა დამოკიდებული ხდება სხვაზე. ე.წ. ბუნებით ჩრდილოვანი ეკონომიკა ანტიეროვნული ხასიათისაა;

6. იზრდება დამნაშავეობა და დაძაბულობა. სწორედ ჩრდილოვანი ეკონომიკაა დამნაშავეობის ფინანსური საფუძველი. ამა თუ იმ ფორმით შესაძლებელია კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებული ჩრდილოვანი ეკონომიკა მრავალ კონფლიქტს წარმოშობს, რომელთა ნაწილი მხოლოდ ძალის გამოყენებით შეიძლება გადაწყდეს. ამგვარი მანკიერი ეკონომიკა სურთ ორგანიზებულ დამნაშავე დაჯგუფებებს. ვინაიდან კრიმინალური ეკონომიკა თავისთავად დანაშაულებრივი ბიზნესია, რომელიც მისთვის დამახასიათებელ ზედნაშენს – სამართალდარღვევებზე აგებულ არაოფიციალურ სამართალს და შესაბამის იდეოლოგიას აყალიბებს, რაც აქვეითებს ქვეყანაში დისციპლინას და ხელს უშლის წესრიგის დამყარებას;

7. ჩრდილოვანი ეკონომიკა საზოგადოებაში სოციალური ნორმებისა და საქმიანი ეთიკის ფორმირების მნიშვნელოვან ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება. მისი მაღალი მასშტაბების დროს მახინჯდება ზნეობრივი ნორმები, იკარგება ორიენტირები. ირღვევა სოციალური წესრიგი. ჩრდილოვანი ურთიერთობების მაღალი ინსტიტუციონალიზაციისას საზღვრები ოფიციალურსა და არაოფიციალურს შორის არ არსებობს. მოსახლეობა ვეღარ არჩევს, რა არის დასაშვები და რა არა. იკარგება მოსახლეობის ნდობა, საზოგადოება გადასულია მოკლევადიანი, პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. სახელმწიფოებრივ ინტერესებზე არავინ ზრუნავს;

8. არალეგალური, ჩრდილოვანი ურთიერთობები ნოყიერ ნიადაგს ქმნის კორუფციის აყვავებისათვის. შედეგად, თუ ქვეყანაში დიდია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები, პარალელურად იზრდება კორუფციის დონეც;

9. ამცირებს სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკურ ისე პოლიტიკურ რეპუტაციას, სესხის აღების, უცხოური ინვესტიციების დაბანდებისას ე.ი. ჩრდილს აყენებს ქვეყნის იმიჯს და ხელს უშლის საერთაშორისო ინტეგრაციას;

ეჭვგარეშეა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ეროვნული ეკონომიკის უარყოფითი გამოვლინებაა. განსაკუთრებით მისი კრიმინალური ნაწილი. მაგრამ, თუ ამ მოვლენას კომპლექსურად შევაფასებთ და მის კრიმინალურ ნაწილს გამოვრიცხავთ შეიძლება ზოგიერთი „პოზიტიური” ელემენტიც აღმოვაჩინოთ. თუმცა საბ-

ოლოოდ ისინიც უარყოფით გავლენას ახდენენ ქვეყანაზე.

1. შემოსავლებისა და ცხოვრების დონის გაუარესების დროს ჩრდილოვანი ეკონომიკა ხელს უწყობს მოსახლეობის გადარჩენას, იძლევა რა დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას. როგორც ცნობილია უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის (განსაკუთრებით მის საწყის ეტაპზე) მთავარი უარყოფითი მხარეა. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 60%-ზე მეტი თვითდასაქმებულია. მათი უმრავლესობა ჩრდილოვან სექტორში საქმიანობს. სადაც ჩამოყალიბებულია საკუთარი „სტაბილური“ პროფესიები, რომლებსაც მუდმივი შემოსავალი მოაქვთ. ახალი სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის წყაროების შექმნით, არალეგალური ეკონომიკა ერთგვარი სოციალური სტაბილიზატორის ფუნქციას ასრულებს, ამცირებს რა დაძაბულობას საზოგადოებაში;

2. ჩრდილოვანი ეკონომიკა საშუალებას იძლევა, მასში ჩართულმა ეკონომიკურმა სუბიექტებმა გადასახადების გადაუხდელობის ხარჯზე, მეურნეობა წარმართონ უფრო ეფექტურად (დაახლოებით 1,5-ჯერ აკეთებენ ეკონომიას). ამგვარი ეკონომია მათ საშუალებას აძლევს გაზარდონ წმინდა მოგება და სერიოზული უპირატესობა მოიპოონ ლეგალურ სექტორში მომუშავე ეკონომიკურ სუბიექტებთან შედარებით;

3. ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას. როდესაც სახელმწიფოში ეკონომიკური საქმიანობა ხელოვნურადაა მონოპოლიზებული დარჩენილ მოსახლეობას ისღა რჩება, რომ მიმართოს ჩრდილოვან ბიზნესს, რითაც ზრდის საბაზრო აგენტების რაოდენობას და ხელს უწყობს კონკურენციის განვითარებას. თუმცა აღნიშნული „ჩრდილოვანი კონკურენციაა“, სადაც დასაშვებია ყველა საშუალების გამოყენება. ამიტომ, ასეთი კონკურენცია ხელს უწყობს არაცივილიზირებული (ველური) საბაზრო ურთიერთობების განვითარებას;

4. ჩრდილოვანი ეკონომიკა გარკვეულ წილად ხელს უწყობს რეალურ ეკონომიკურ ზრდას. ექსპერტული შეფასებებით ჩრდილოვან ეკონომიკაში მიღებული შემოსავლების 60-70% ჩაიდება ლეგალურ ეკონომიკაში, რაც ხელს უწყობს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას.

5. ჩრდილოვანი ეკონომიკა მომხმარებლის მოთხოვნილებას საჭირო საქონლით და მომსახურებით აკმაყოფილებს. საბაზრო ეკონომიკის დაუწერელი კანონია – არის მოთხოვნა, იქნება მიწოდება. სახელმწიფო სტრუქტურებში ეკონომიკური პროცესების მართვის ხარისხი არაეფექტურია (მცირე ანაზღაურების გამო). ჩრდილოვანი საქმიანობა კი ხასიათდება მაღალი მობილურობით და კოორდინაციით (რადგან ჩრდილოვანი ურთიერთობები ძირითადად აგებულია ვიწრო, სოციალურ კონტაქტებზე). შესაბამისად მაღალია შემოსავალიც;

6. ჩრდილოვანი ეკონომიკა ქმნის არასახელმწიფოებრივი სოციალური საქმიანობისათვის – პოლიტიკური მოღვაწეობის, სხვადასხვა ლობისტური გაერთიანებების, ასოციაციების, კავშირების და საქველმოქმედო (ხელოვნების დარგში) მოღვაწეობის დაფინანსებისათვის საინვესტიციო ბაზას. აქ ჩრდილოვანი ეკონომიკა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშემწყობ სპეციფიკურ ინსტიტუტად გვევლინება.[3]

საბოლოოდ ჩრდილოვანი ეკონომიკა შლის ოფიციალურ ეკონომიკას. არყევს ადამიანთა თანაარსებობის ლეგიტიმურ საფუძველს. უარყოფს სამართლებრივ-ეთიკურ და სულიერ იმპერატივებს. ხრწნის საზოგადოებას და ითრევს მას ანტისახელმწიფოებრივ ურთიერთობებში. ახდენს კრიმინალურ-კლანურ ურთიერთობათა გენერირებას, რითაც საფრთხეს უქმნის სოციალურ წესრიგს და ქვეყნის უსაფრთხოებას.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ფუნქციონირებს და ვითარდება დაუწერელი ოფიციალური კანონების მიღმა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იქ გაუგებრობა და უწესრიგობაა (განსაკუთრებით მისი მაღალი მასშტაბების პირობებში). მაღალი მასშტაბების ჩრდილოვანი ეკონომიკა აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მშპ -ის შექმნაში და ემორჩილება ბაზრის ობიექტურ ეკონომიკურ კანონებს: მოთხოვნა-მიწოდების, საკუთრებითი უფლებების, მოგების მაქსიმიზაციის, წარმოების კონცენტრაციის და ა.შ. მაგრამ გარდა ობიექტური კანონებისა ჩრდილოვანი ეკონომიკა რეგულირდება საკუთარი, დაუწერელი მაგრამ ყოველთვის გასაგები და ხელსაყრელი არაფორმალური სამართლებრივი ნორმებით.[4] ისევე როგორც ოფიციალურს ჩრდილოვან ეკონომიკასაც გააჩნია ეკონომიკური წრებრუნვის ფაზები: ჩრდილოვანი წარმოება, განაწილე-

[3] უნდა აღინიშნოს, რომ ამ გზით ჩამოყალიბებული საზოგადოება უფრო კვაზისამოქალაქო საზოგადოებაა, რომელიც რეალურად ვერ შეუწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებას, რადგანაც სამოქალაქო საზოგადოების იმპერატივი, გამჭვირვალობა და ოფიციალური შემოსავლებია.

[4] *Де Сото Э.* Иной путь, Невидимая революция в третьем мире / М.: Catallaxy, 1995. 320с.

ბა, გაცვლა, მოხმარება. ჩრდილოვან ეკონომიკაში ფუნქციონირებს არაფორმალური ბაზრის ტიპები და სახეები შესაბამისი ინფრასტრუქტურით.

მოვიყვანოთ ჩრდილოვანი ეკონომიკის რამდენიმე თვისება:[5]

– თვითორგანიზაცია და თვითგანვითარება, ინსტიტუციონალიზაციისკენ სწრაფვა. „ჩრდილი“ ითვისებს ლეგალურ ნორმებს, მაგალითად „ნდობას“, „უსაფრთხოებას“ და ახდენს მათ ინსტიტუციონალიზაციას საკუთარი მიზნების შესაბამისად;

– მოქნილობა. გარე პირობებთან ადაპტირების მაღალი უნარი. ოფიციალური სტრუქტურების ფუნქციონალური ნაკლოვანებები წარმოშობს ალტერნატიულ (არაოფიციალურ) სტრუქტურებს, მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის;

– ვერტიკალური და ქსელური მობილურობა. თუ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მცირეა (5-15%), მაშინ არალეგალური ურთიერთობები „ფრაგმენტული და მოზაიკურია“. არაა ჩამოყალიბებული ერთიან სისტემად (თუმცა ამ დროს გამოიყენება არაფორმალური ნორმების „კოდექსი“, რომელიც ხშირად უფრო ეფექტურად მოქმედებდეს ვიდრე დაწერილი კანონი). თუ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მეტია 40-50%-ზე (კრიტიკულ ზღვარზე) არაოფიციალური ურთიერთობები სისტემურ ხასიათს ღებულობს;

– ფარული, საიდუმლო ბუნება და კლანური დაყოფა ე.წ. „შინაურებად“ და „უცხოებად“. ამ დროს გამოიყენება ორმაგი სტანდარტი, „შინაურების“ მიმართ მოქმედებს ნდობისა და ურთიერთდახმარების სოციალური მექანიზმები. „უცხოების“ მიმართ დასაშვებია ნებისმიერი საშუალების. მათ შორის ძალის გამოყენებაც.

ჩრდილოვანი ეკონომიკის დასაშვები დონეა 5-6%. მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეკონომიკა კრიტიკულ ზღვარს აღწევს და კარგავს მართვის უნარს, თუ ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 40-50%-ს აღწევს.[6] აღნიშნული ზღვარის შემდეგ ჩრდილოვანი ფაქტორების გავლენა სამეურნეო ცხოვრებაზე მეტად საგრძნობი ხდება. მას ვეღარ ერევა სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების უწყებრივი შესაძლებლობები. გატარებული რეფორმები დეფორმირებულ სახეს ღებულობს და სასურველ შედეგს ვერ იძლევა. ასეთი ეკონომიკა ცხოვრობს თავისი წესებით. გადასახადებით მისი რეგულირება შეუძლებელია (ვინაიდან არ იხდის მათ), ვერც ოფიციალური კანონებით, ვინაიდან არ ცნობს მათ.

ჩრდილოვანი ურთიერთობების მასშტაბები მაღალია იქ სადაც დაბალია კონკურენცია და საბაზრო მექანიზმები არ ფუნქციონირებს გამართულად. ეკონომიკაში, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ბაზისში ჩასახვის შემდეგ ჩრდილოვანი სტერეოტიპები მისთვის მახასიათებელი ურთიერთობების გენერირებით, „ასნეულებს“ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს და წარმოშობს – „ჩრდილოვან პოლიტიკას“, „ჩრდილოვან სამართალს“, „ჩრდილოვან კულტურას“ და ა.შ.

მსოფლიო მასშტაბებით ჩრდილოვანი ეკონომიკა შეადგენს (მსოფლიო მშპ -ს) 10-15%-ს, სადაც წლიურად იქმნება 10-12 ტრილიონი აშშ დოლარის ღირებულების საქონელი და მომსახურება. ეს დაახლოებით აშშ-ის, მსოფლიოში ყველაზე დიდი მშპ-ის მქონე ქვეყნის, მშპ-ის ტოლია. ბოლო პერიოდში შეინიშნება ჩრდილოვან ეკონომიკის ზრდა, როგორც ცალკეულ ქვეყნებში ისე მთელ მსოფლიოში.[7] ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების (მშპ-ან მიმართებით) მიხედვით, მსოფლიო ქვეყნები, პირობითად შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:[8]

1. 5 - 15% – ჩრდილოვანი ეკონომიკა თამაშობს უმნიშვნელო როლს. ესაა განვითარებული სამრეწველო ქვეყნები: დასავლეთ ევროპა, აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია;

2. 15 - 40% – ეკონომიკაზე ახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას. აფრიკის, ლათინური ამერიკის, აზიისა და პოსტსოციალისტური ქვეყნების უმრავლესობა, ზოგიერთი ევროპის ქვეყანა;

3. 40 - 80% – ქვეყნები, რომელთა ეკონომიკურ სისტემაში დომინირებს ჩრდილოვანი ეკონომიკა. ესაა აფრიკის და ზოგიერთი ლათინური ამერიკის, აზიისა და პოსტსოციალისტური სახელმწიფო.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მაღალია იმ ქვეყნებში სადაც სუსტია ლეგალური ეკონომიკა და პირიქით, ჩრდილოვანი ეკონომიკა უმნიშვნელოა, როცა ოფიციალური ეკონომიკა ძლიერია. მათ შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება. ჩრდილოვანი

[5] *Олейник А.Н.,* Институциональная экономика, М.:ИНФРА-М,2000,с.171

[6] *Ореховский П.,* Статистические показатели и теневая экономика , Россиский экон. журн., 1996, №4, ст. 77-83.

[7] *Бекрашева А. К., Белозеров И.П.,* Теневая экономика и экономическая преступност, электронныи учебник, 2000.-205с.internetis misamarTi: http://newasp.omskreg.ru/

[8] *ოთინაშვილი რ.,* ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბ.: სტუ, 2005. -440 გვ.

ეკონომიკა გამოდის, როგორც სამეურნეო მოღვაწეობის ალტერნატიული ფორმა. მისი მაშტაბები დამოკიდებულია ლეგალური ეკონომიკის შესძლებლობასა და ეფექტურობაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა, როგორც მეცნიერული კვლევისათვის, ისე პრაქტიკული ბრძოლისათვის საკმაოდ რთულ ობიექტს წარმოადგენს. საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ფუნქციონალური სეგმენტის ლეგალური და არალეგალური სფეროების ანალიზი მოითხოვს დისციპლინათაშორისო მიდგომას, რომლის საფუძველია ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, იურისპრუდენციის, ეთიკისა და მორალის მეთოდოლოგიური პრინციპების კომპლექსური გამოყენება.

ჩრდილოვანი გამოვლინებების კლასიფიკაცია ხდება სხვადასხვა მახასიათებლების საფუძველზე:[9]

1. რეზულტატის ხასიათის მიხედვით განასხვავებენ: ა) *საწარმოო ჩრდილოვან ეკონომიკას*, რომელსაც რეალური წვლილი შეაქვს ქვეყნის ერთობლივ ეროვნულ პროდუქტში და ბ) *გადანაწილებით ჩრდილოვან ეკონომიკას*, რომელიც არაა დაკავშირებული ეროვნული სიმდიდრის რეალურ შექმნასთან. ამ დროს მიმდინარეობს შემოსავლებისა და სიკეთეების უსამართლო გადანაწილება;

2. ოფიციალურ ეკონომიკასთან დამოკიდებულებით: ა. *შიდა ჩრდილოვანი ეკონომიკა* არის ლეგალური ეკონომიკის შიგნით არსებული არაფორმალური ურთიერთობები, თუმცა მის მონაწილეებს აქვთ ოფიციალური სტატუსი (ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურებში), მაგრამ მათი საქმიანობა აღურიცხავია; ბ. *პარალელური ჩრდილოვანი ეკონომიკა* – მონაწილეებს არა აქვთ ოფიციალური ეკონომიკური სტატუსი;

3. კრიმინოგენული პოზიციებიდან გამომდინარე: ა. *კრიმინალური ჩრდილოვანი ეკონომიკა*, ესაა უკანონო სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების რთული სისტემა დაფუძნებული ორგანიზებულ დანაშაულზე; ბ. *არაკრიმინალური ჩრდილოვანი ეკონომიკა* არის დაშვებული მაგრამ აღურიცხავი საქონლის წარმოება და მომსახურების გაწევა.

საქართველოში რომლის ეკონომიკაც გარდამავალ ეტაპზე იმყოფება, გასული საუკუნის 90-იან წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ის მშპ-ს 33%-ს შეადგენდა, ეკონომიკის მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროს მონაცემებით 45-50%-ს (2000წ.), ცალკეული ექსპერტების, მათ შორის მსოფლიო ბანკის ექსპერტების აზრით, 70%-ს აღწევდა, იყო უფრო მაღალი შეფასებებიც.

ჩრდილოვანი ეკონომიკის რაოდენობრივ ზრდას მოჰყვა მისი ხარისხობრივი ცვლილებები, რაც გამოიხატა ჩრდილოვანი ქცევებისა და ნორმების ორგანიზებულ მდგრად ფორმებში გადაზრდაში. მათ აღიარებს აღნიშნული ურთიერთობების ყველა მონაწილე. ეკონომიკური სუბიექტების ერთი შეხედვისთ ქაოსური ქმედებანი გადაიზარდა მოწესრიგებულ და კვლავწარმოებად სოციალურ სისტემად. შედეგად, მოხდა ჩრდილოვანი ეკონომიკის ინსტიტუციონალიზაცია. ჩამოყალიბდა მდგრადი და სისტემატიზებული ჩრდილოვანი ქცევის ნორმები. ჩრდილოვან ინსტიტუტებს გადგმული აქვთ ღრმა ფესვები სახელმწიფოს პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემაში.[10]

რომელ კოორდინატთა სისტემაშიც არ უნდა განვიხილოთ საქართველოს ეკონომიკა, იქნება ეს ეკონომიკური წრებრუნვის ფაზები (წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება), თუ მეურნეობის მსხვილი დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ვაჭრობა და ა.შ.), ჩვენი სოციალური ყოფა თავისი კულტურულ-ფსიქოლოგიური ნიშნებით. არაოფიციალური ეკონომიკა ყველგან შეინიშნება, როგორც ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. პარადოქსია მაგრამ ფაქტია, რომ ჩრდილოვანი ნორმები განსაზღვრავს დღეს პოლიტიკურ ამინდს ქვეყანაში. გამოდის რა ერთგვარი მაკავშირებლის როლში, სოციალ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში ინარჩუნებს სახელმწიფო ერთიანობას. ამ ფონზე ზოგიერთი ეკონომისტის მოსაზრება, საქართველოში ჩრდილოვანი ეკონომიკის სწრაფი დაძლევის შესახებ საკმაოდ გულუბრყვილოდ გვეჩვენება.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩრდილოვანმა ეკონომიკამ პირობითად განვითარების სამი ეტაპი გაიარა:

1. 1991-1996 წწ. ამ ეტაპზე ჩრდილოვანი ფაქტორების ზეგავლენა ნაკლებად დესტრუქციულ ხასიათს ატარებდა და კონფლიქტებისა და სამოქალაქო ომის პირობებში გარკვეულწილად ხელს უწყობდა მოსახლეობის გადარჩენას;

2. 1996-2003 წწ. ჩრდილოვანი ფაქტორების დესტრუქციული გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა. პოლიტიკური სტაბილურობის დამყარე-

[9] *Бекрашева А. К., Белозеров И.П.,* Теневая экономика и экономическая преступност, электронныи учебник, 2000.- 205с.internetis misamarTi: http://newasp.omskreg.ru/

[10] *Косалс Л. Я., Рывкина Р.В.,* Становление институтов теневой экономики в постсоветской России. ж. Социологические исследования, 2002,№ 4 (216) ст. 13-21.

ბამ, სამწუხაროდ, ხელი ვერ შეუშალა არალეგალური ეკონომიკის განვითარებას, რისი შედეგიცაა ზემოთ აღწერილი ჩრდილოვანი ეკონომიკის უარყოფითი გამოვლინებები;

დღეს მიმდინარეობს ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების მესამე ეტაპი, ხდება მისი ინსტიტუციონალიზაციის პროცესი. კერძოდ, წარმოებს ჩრდილოვანი და ოფიციალური ურთიერთობების შერწყმა, რისი სავარაუდო შედეგიც ხელისუფლების სტრუქტურების კრიმინალიზაცია იქნება.

ჩრდილოვანი ურთიერთობები გამოვიდნენ ეკონომიკის ჩარჩოებიდან და ვრცელდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ჩრდილოვანი კავშირები და შეთანხმებები განსაზღვრავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ინსტიტუტების ფუნქციონირებას. შედეგად, ჩრდილოვანი პროცესები მოსახლეობის ცხოვრების წესის განუყოფელი ნიშანი გახდა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის უფრო სრულად დახასიათების მიზნით, პირობითად, გამოყოფენ მის შემდეგ სტრუქტურას: 1. ფარული (მეორე); 2. ფიქტიური და 3. კრიმინალური (შავი) ეკონომიკა.[11]

ა. ფარული (მეორე) ეკონომიკა (Hidden economy) მოიცავს ეკონომიკური საქმიანობის ნებადართულ სახეებს, რომლებიც ხარჯების მინიმიზაციის მიზნით, ოფიციალური, სახელმწიფო ორგანოებისგან მალავენ თავის მოღვაწეობას.[12]

ბ. ფიქტიური ეკონომიკა (იცტიტიოუს ეცონომყ) არის მიწერები, სტანდარტიდან გადახრები, ანგარიშში დარღვევები (ქაღალდი ყველაფერს იტანს), სხვადასხვა თაღლითობები, რაც კორუფციის მამოძრავებელი წყაროა.[13]

გ. კრიმინალური (შავი) ეკონომიკა (ჩრიმინალ ეცონომყ) კანონის პირდაპირ დარღვევასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობაა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარებისა და კვლევის ისტორია.[14] ჩრდილოვანი ეკონომიკა კაცობრიობის მუდმივი თანამგზავრია. იგი გაჩნდა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კონტროლის გაჩენასთან ერთად. მაგრამ ამ მოვლენის კომპლექსური შესწავლა მსოფლიო მასშტაბით ჯერ არ განხორციელებულა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ბევრი რამე გამოუკვლეველია, მაგრამ ძნელია მოიძებნოს შემთხვევა, როცა მოვლენის მასშტაბები და მისი მეცნიერული შესწავლის დონე ასე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მიუხედავათ იმისა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა უძველესი დროიდან არსებობს, მეცნიერებმა პირველი ყურადღება „სახელმწიფოს გარეშე“ ეკონომიკას მიაქციეს XX საუკუნის 30-იან წლებში, ე.წ. „დიდი დეპრესიის პერიოდში“. მაგრამ, აღნიშნული კვლევები ძირითადად წარმოებდა, ეკონომიკაში სახელმწიფოს როლის ახლებურად გააზრების კუთხით. უშუალოდ ფარულ ეკონომიკაზე კვლევები იწყება 70-იანი წლებიდან. 80-იან წლებში, აღნიშნულ პრობლემაზე უკვე ტარდება საერთაშორისო კონფერენციები. 1996 წლიდან კი ევროპის ეკონომიკური კომისიის ფარგლებში, არსებობს ჩრდილოვანი ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე სპეციალური მუშა ჯგუფი.

ოთხი ათეული წელია მსოფლიო ეკონომისტები იკვლევენ აღნიშნულ მოვლენას, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ის ბოლომდეა შესწავლილი. ამ ფენომენში ურთულესი კომბინაციით თავს იჩენს ეკონომიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ეთიკის და სამართლის პრობლემები. ის უშუალოდაა დაკავშირებული პიროვნების, სოციალური ჯგუფის, საზოგადოების მოთხოვნილებებთან და ინტერესებთან. ამიტომ, როგორი რთული და ბოლომდე შეუსწავლელია თავად პიროვნება და საზოგადოება, ასევეა ჩრდილოვანი ეკონომიკაც. ჩრდილოვანი ეკონომიკის კვლევის მსოფლიო ისტორიაში პირობითად ორი ეტაპი შეიძლება გამოიყოს:

1. XX საუკუნის 1970 - 80-იანი წლები – პირველადი ინფორმაციის შეგროება და ემპირიული კვლევები;

2. 1980 - 90-იანი წლები – დაგროვილი ინფორმაციის გაცნობიერება და ეკონომიკური ანალიზის კვლევები;

დღეს მიმდინარეობს ამ მოვლენის კვლევის მესამე ეტაპი. ხდება ჩრდილოვანი ეკონომიკის კომპლექსური შესწავლა და მასშტაბების შემცირების თეორიულ-მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავება სხვადასხვა საზოგადოებრივი დისციპლინების მიერ.

ჩრდილოვანი ეკონომიკის კვლევაში განსა-

[11] ჩვენს მიერ მოცემული ჩრდილოვანი ეკონომიკის კლასიფიკაცია არაა ერთადერთი, ამ სფეროში სხვა მიდგომებს შეიძლება გაეცნოთ: *Головин С.Д.* О классификации явлений теневой экономики // Вестник МГУ. Сер. Экономика. 1992. № 1,ст.45-56; *Henry S.* Can the Hidden Economy Be Revolutionary? Toward a Dialectical Analysis of the Relations between Formal and Informal Economies // Social Justice. 1988. Vol. 15. № 3–4. P. 31 – 34; *Feige E. L.* Defining and Estimating Underground and Informal Economies: The New Institutional Economics Approach // World Development. 1990. Vol. 18. № 7. P. 989 – 1002.

[12] ვრცლად იხილეთ: *ოთინაშვილი რ.*, ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005. -440 გვ.

[13] ვრცლად იხილეთ: *ოთინაშვილი რ.*, ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005. -440 გვ.

[14] ვრცლად იხ.: *ოთინაშვილი რ.*, ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005. -440 გვ.

კუთრებული როლი ეკუთვნის პერუელ ეკონომისტ *ერნანდო დე სოტოს*. 1989 წელს გამოცემულმა მისმა მონოგრაფიამ „სხვა არჩევანი (Иной путь) არნახული რევოლუცია მესამე სამყაროში“ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა.[15] *დე სოტოს* კონცეფცია პრინციპულად ახალი მიდგომაა ჩრდილოვანი ეკონომიკის გენეზისის ახსნაში.[16] ავტორი მოსახლეობის ჩრდილოვან მოღვაწეობაში ჩართვის ძირითად მიზეზად მიიჩნევს არა საზოგადოების ჩამორჩენასა და დაბალ დონეს არამედ ბიუროკრატიულ ორგანიზებას, რომელიც ხელს უშლის კონკურენციული ურთიერთობების განვითარებას. თუ ადრე ლეგალური ეკონომიკა ითვლებოდა თანამედროვე ეკონომიკური კულტურის მატარებლად, ხოლო ჩრდილოვანი – ტრადიციული ეკონომიკის მახინჯ გადმონაშთად. *დე სოტო* ამტკიცებს – როდესაც ლეგალური ეკონომიკა ხელოვნურადაა მონოპოლიზებული ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა იძულებულია მიმართოს ჩრდილოვან მოღვაწეობას. შედეგად, ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება „ჩრდილოვანი სამართალი“, „ჩრდილოვანი კონკურენცია“ ერთმანეთთან და კანონიერ სახელმწიფო ინსტიტუტებთან, სწორედ ასეთ პირობებში იზრდება და ყვავის კორუფცია. „ჩრდილში“ არსებობს და ვითარდება პარალელური სამყარო თავისი „სამართლებრივი“ ნორმებით, ქცევის დაუწერელი წესებით, „ჩრდილოვანი პროფკავშირებით“, „ასოციაციებით“, რომელიც ბევრად ეფექტურია ოფიციალურ სტრუქტურებზე.

ჩრდილოვანი ეკონომიკის განვითარების ძირითადი ფაქტორია არარაციონალური და არასამართლებრივი ცხოვრების წესი. შეუფასებელია *ერნანდო დე სოტოს* კონცეფციის როლი და მნიშვნელობა დღევანდელ საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზისთვის. თუმცა, ჩრდილოვანი გამოვლინებები ჩვენთან გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება, რაც საბჭოთა მემკვიდრეობას უკავშირდება.

მაშასადამე, ჩრდილოვანი ეკონომიკა არის გლობალურ-ისტორიული მოვლენა, რომელიც ვლინდება ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ სისტემაში და გამომდინარეობს ეკონომიკური ურთიერთობების რაციონალური ბუნებიდან. იგი უნდა განვიხილოთ, როგორც კონკურენციის (სამწუხაროდ ჩრდილოვანის) განმაპირობებელი ბიზნესის ორგანიზაციის მოქნილი ფორმა, რომელიც ზრდის ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემოსავლებს და საშუალებას აძლევს მათ უკეთ დაიკმაყოფილონ მოთხოვნილებები.

ოთხი ათეული წელია სწავლობენ ჩრდილოვან ეკონომიკას, ცდილობენ იპოვონ მისი რეგულირების საშუალებები მაგრამ ვერავინ შეძლო მისი აღმოფხვრა. *ეკონომიკურ ისტორიაში არ მოიპოვება იმის მაგალითი, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკა ლიკვიდირებულ იქნას მხოლოდ ძალისმიერი მეთოდებით. ეკონომიკურ მეთოდებთან ერთად ძალა მხოლოდ რაციონალური და გააზრებული გამოყენების შემთხვევაში ამართლებს. აკრძალვის ექსპლუატაციამ, მხოლოდ ძალისმიერი მეთოდების გამოყენებამ პირიქით, შეიძლება უკუეფექტი გამოიწვიოს. ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები მცირდება ან მისი გონივრული ლეგალიზაციის ან საქონელზე (მომსახურეობაზე) მოთხოვნის საერთოდ ლიკვიდაციის შემდეგ.*

ჩრდილოვანი ეკონომიკის გამომწვევი მიზეზები[17]

ჩრდილოვანი ეკონომიკა ადმინისტრაციული მეთოდებით და ლოზუნგებით ვერ დამარცხდება, საჭიროა გამომწვევი მიზეზების მეცნიერული ანალიზი და სახელმწიფოს მხრიდან ისეთი პოლიტიკის გატარება, რომელიც არ შექმნის ნოყოფიერ ნიადაგს ჩრდილოვანი ურთიერთობების აღმოცენებისა და განვითარებისთვის. როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ ჩრდილოვანი ურთიერთობები გარდა ეკონომიკურისა მოიცავს პოლიტიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ, სამართლებრივ და ა.შ. პრობლემებს. გამომწვევი მიზეზებიც პირობითად ამ ჯგუფებში ერთიანდება: [18]

1. სისტემური ეკონომიკური კრიზისი; 2. ნაკლებადეფექტური საბანკო და საფინანსო სისტემა; 3. მსოფლიო კრიზისის, განსაკუთრებით რუსეთის ეკონომიკური კრიზისის გავლენა; 4. მართვის ბიუროკრატიული სისტემა, კადრების უპასუხისმგებლობა; 5. აღრიცხვის სისტემის დაბალი ორგანიზაცია; 6. კონტროლის სისტემის გაუმართაობა; 7. ნაკლოვანებები საბაჟო სისტემის მუშაობაში; 8. ლიცენზირების არასრულყოფილი კანონი; 9. არაეფექტური და არასა-

[15] *Де Сото Э.* Иной путь, Невидимая революция в третьем мире / М.:Catallaxy, 1995. 320 с.

[16] აღნიშნული კონცეფციის ჩამოყალიბებაში, ჩვენი აზრით, ლომის წილი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ *დე სოტო* თავად დაიბადა და გაიზარდა განვითარებად სახელმწიფოში და საკუთარ თავზე გამოსცადა ასეთ ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები. ასევე საქართველოშიც, როგორი მაღალი დონის საზღვარგარეთელი ეკონომისტებიც არ უნდა მოვიწვიოთ ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად, მათი რეკომენდაციები ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს, თუ არ იქნა გათვალისწინებული ჩვენი სპეციფიკა. აღნიშნული კი უკეთ ძალუძს პიროვნებას, რომელიც პირველ რიგში იქნება პატრიოტი და საკუთარ თავზე ექნება განცდილი ბოლო დროის საქართველოს რეალიები.

[17] ვრცლად იხილეთ: *ოთინაშვილი რ.*, ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005. -440 გვ.

[18] იქვე.

მართლიანი პრივატიზაცია; 10. ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გავლენა; 11. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა: ა. უმუშევრობა. ბ. დაბალი ხელფასები; 12. საგადასახადო სისტემის ნაკლოვანებები; 13. არარეალური საბიუჯეტო პოლიტიკა; 14. კორუფცია; 15. საბჭოთა სისტემიდან მიღებული დეფორმირებული ეკონომიკა; 16. საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შედეგად მოსახლეობაში ჩამოყალიბებული მენტალიტეტი; 17. სამართლებრივი რეგულირების არასრულყოფილება; 18. პოლიტიკური არასტაბილურობა; 19. დაუსჯელობის სინდრომი; 20. საკუთრების უფლებების დაუცველობა; 21. სახელმწიფოს პოპულისტური ეკონომიკური პოლიტიკა; 22. რეფორმების სტრატეგიის არჩევაში დაშვებული შეცდომები; 23. სახელმწიფო ვალების ზეწოლა; 24. უცხო ქვეყნების ექსპანსიური ეკონომიკური პოლიტიკა.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები.[19] ობიექტურობისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზუსტი განსაზღვრა სტატისტიკური მეთოდებით რთულია. კვლევის ობიექტები არ იძლევიან ობიექტურ ინფორმაციას (ამცირებენ შემოსავლებს, ზრდიან დანახარჯებს...). ამიტომ ამ მოვლენის მასშტაბების შეფასება ძირითადად, ირიბი მეთოდების გამოყენებას ეფუძნება და გვაძლევს მიახლოებით მონაცემებს – ქვედა და ზედა ზღვარს. ამასთან აღნიშნული ზღვარის მცირე მნიშვნელობა 3-5% მიუთითებს იმაზე, რომ შეფასების მეთოდები (ავსტრია, გერმანია, იაპონია) საკმაოდ დახვეწილია. განსხვავებით ქვეყნებისაგან, სადაც აღნიშნული ზღვარი 30-40%-ს (ინდოეთი, უკრაინა, საქართველო) აღწევს.

ჩვენი მონაცემებით ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები პოსტსაბჭოთა საქართველოში შემდეგი დინამიკით ხასიათდება (ცხრ.1). რეალური ეკონომიკა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მაღალი ტემპებით იზრდებოდა, მაგრამ უპირატესად ჩრდილოვანი ეკონომიკის ხარჯზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლეგალურ და არალეგალურ ეკონომიკას შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები 1991-2011 წლებში

ცხრილი 1

ეკონომიკა \ წლები	1991	1993	1995	1997	1999	2001	2003	2005	2007	2009	2011
ჩრდილოვანი	50	59	68	67	65	66	64	58	48	46	44
ლეგალური	50	41	32	23	35	34	36	42	52	54	56

ცხადია ამხელა მასშტაბების ჩრდილოვან ეკონომიკას გააჩნია საკუთარი ინტერესები. ამიტომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გარდა ჩრდილოვანი ეკონომიკისა არსებობს ჩრდილოვანი პოლიტიკა, რომელიც უფრო ნაკლებადაა შესწავლილი ვიდრე მისი ეკონომიკური ანალოგი. ჩრდილოვანი პოლიტიკის შესწავლა დიდ სირთულეებთან და საფრთხეებთანაა დაკავშირერებული. ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ხდება ჩრდილოვან პოლიტიკაში, რომელშიც პირველ ყოვლისა გათვალისწინებულია სხვადასხვა ოლიგარქიული კლანების ინტერესები.

ბოლო პერიოდში განხორციელებული რეფორმების შედეგად, ერთი შეხედვით, შემცირდა ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მასშტაბები. მაგამ მის დადებით შედეგებს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ გრძნობს. საერთაშორისო პრაქტიკით - ჩრდილოვანი ეკონომიკის *მასშტაბების შემცირებას ყოველთვის მოსდევს მოსახლეობის ცხობრების დონის ამაღლება, რაც ჩვენთანარ ვერ ხერხდება. ესეიგი შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ* ჩრდილოვანი ეკონომიკის *მასშტაბები რეალურად კი არ შემცირებულა არამედ ინსტიტუციონალიზაციის ახალ ხარისხში გადაიზარდა.*

ჩრდილოვანი ეკონომიკის და კორუფციის პრობლემის გადაწყვეტის საუკეთესო გზაა ხელისუფლების პოლიტიკური ნება და გავლენიანი საზოგადოებრივი აზრის არსებობა. თუ აღნიშნული ორი კომპონენტიდან ერთ-ერთი მაინც რეალურია, რეფორმები წინააღმდეგობრივად, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. თუ არც ერთი არ არსებობს ანტიკორუფციული პოლიტიკის რეალიზაცია გადაიქცევა პოპულიზმად.

[19] ვრცლად იხილეთ: *ოთინაშვილი რ.*, ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005. -440 გვ.

TRENDS OF FUNCTIONING OF SHADOW ECONOMY IN GEORGIA

RAMAZ OTINASHVILI – Professor of GTU
VAKHTANG DATASHVILI – Professor of GTU

Article "Trends of Functioning of Shadow Economy in Georgia" states that the shadow economy is global historical phenomenon showing up in all socioeconomic formations and results from the reasonable nature of the economic relations. It should be considered as the flexible form of organization of business conditioning competition (unfortunately the shadow one as well), increasing the incomes of economically active population and allowing them better satisfy their requirements.

Acceptable level of shadow economy is 5-6%. World practice shows that the economy achieves the critical limit and loses ability of control if the share proportion of the shadow economy achieves 40-50 % of GDP.

In result of the reforms implemented in Georgia for recent period, the scales of shadow economy and corruption decreased at first glance, but most part of the population can not feel any positive outcomes. According to the international practice reduction of the scale of shadow economy is always followed with improvement of population life conditions and this is not the case in our country. Thus, we can suppose that the scales of shadow economy have not reduced dramatically, rather it transformed into the new degree of institutionalization. The best way for resolving of the problem of shadow economy is the political will of the government and existence of the influential public opinion. If even one of two above components actually persists, though in the contradictory way, but the reforms still go on. If none of the above exists, implementation of anti-corruption policies would turn into populism.